კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება
სამუშაო შეხვედრების ორგანიზატორი მასწავლებელი-სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის #2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი-ნათელა მაჭარაშვილი

#	შეხვედრის თარიღი	შეხვედრის მიზანი	შეხვედრის თემატიკა
1	20.02.2019	მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება- განმავითარებელი შეფასების მიზნისა და სახეების გაცნობა. ეფექტური უკუკავშირის გაანალიზება.	-განმავითარებელი შეფასების მიზანი; -განმავითარებელი შეფასების სახეები; -მოთხოვნები განმავითარებელი კომენტარისათვის; -ეფექტური უკუკავშირი;
2	22.02. 2019	მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება- განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა-გაანალიზება.	-დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე; -ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება; -ორმაგი ჩანაწერების დღიური;
3	25.02.2019	მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება- გრაფიკული ორგანიზატორების გაცნობა-გაანალიზება.	-მთავარი კითხვა; -პრობლემისა და მათი გადაჭრის გზების რუკა; -სიტყვის რუკა; -საკვანძო საკითხების რუკა; -დადებითი-უარყოფითი-საინტერესო;

I შეხვედრა- 20.02.2019

მიზანი- მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება შემდეგი მიმართულებით:განმავითარებელი შეფასების მიზნისა და სახეების გაცნობა.ეფექტური უკუკავშირის გაანალიზება.

შეხვედრის ძირითადი საკითხები:
-განმავითარებელი შეფასების მიზანი;
-განმავითარებელი შეფასების სახეები;
-მოთხოვნები განმავითარებელი კომენტარისათვის;
-ეფექტური უკუკავშირი;

აქტუალობა-ზოგადად, მასწავლებელთა უმრავლესობისათვის განმავითარებელი შეფასება არის საკმაოდ დიდი პრობლემა. შეფასების ჯგუფის წევრი ვარ და საგაკვეთილო პროცესზე ჩემი დაკვირვების შედეგად ეს პრობლემა ნამდვილად იკვეთება. მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების დროს შემოიფარგლებიან მხოლოდ ზედაპირული შეფასებით, შაბლონური ფრაზებით, რომელიც მოსწავლეებში ერთგვარ გაურკვევლობას იწვევს და ასეთ შემთხვევაში მათ არ იციან, კონკრეტულად რა მიმართულებით უნდა მოახდინონ ხარვეზების გამოსწორება, რადგან კონკრეტულობა/ეფექტურობა აკლია მასწავლებელთა შეფასებას. არადა, განმავითარებელმა შეფასებამ უნდა გაზარდოს მოსწავლეთა თვითშეფასება. მასწავლებლის მიერ განხორციელებული განმავითარებელი შეფასება მოსწავლეს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას მისი ძლიერი მხარისა თუ სუსტი მხარის გაუმჯობესების შესახებ.თანაც, ერთმანეთისაგან უნდა განირჩეოდეს რჩევა და იძულება. ეფექტური რჩევა(და არა იძულება) მეტად მნიშვნელოვანია და თუ იგი თანამშრომლობითი ტონით იქნება მიწოდებული მოსწავლისათვის, სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს.ეფექტური განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინონ საკუთარი თავი, აჩვენონ მაქსიმუმი და მიიღონ კუთვნილი აღიარება.
მოთხოვნები განმავითარებელი კომენტარისათვის:
-ვიწყებთ იმით, რაც მოგვწონს;
-კომენტარს ვამყარებთ არგუმენტებით;
-კომენტარში ვაჩვენებთ გაუმჯობესების გზებს;
-ტონი უნდა იყოს თანამშრომლობითი;
-ურჩიე და არ აიძულო;
-მიაწოდე უკუკავშირი, რაც შეიძლება მალე;

-ილაპარაკე საკუთარი პოზიციიდან;
-გამოვიყენოთ მოსწავლისათვის გასაგები ფრაზები, ცნებები;
-გამოვხატოთ პატივისცემა მოსწავლის ნაშრომისადმი,მივმართოთ უშუალოდ მოსწავლეს;
-ნუ შევუსწორებთ ყველა შეცდომას,არამედ მივცეთ მოსწავლეს შესაძლებლობა თავად გაასწოროს ეს შეცდომები,ვუბიძგოთ ფიქრისაკენ,დამოუკიდებელი აზროვნებისკენ;

II შეხვედრა- 22.02.2019

მიზანი- მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება შემდეგი მიმართულებით:განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გაცნობა-გაანალიზება;

შეხვედრის ძირითადი საკითხები:
-დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე;
-ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება;
-ორმაგი ჩანაწერების დღიური;

აქტუალობა-საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება,რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მოსწავლეთა ინტერესების, დამოკიდებულებების,წინარე ცოდნისა თუ გაგება-გააზრების სწრაფად და სიღრმისეულად შეფასებისათვის.

ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი ხდება მაშინ,თუკი მოსწავლე და მასწავლებელი იპოვიან გზებს, თუ როგორ უნდა გაიაზროს მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი.განმავითარებელი შეფასების ვერცერთი ინსტრუმენტის გამოყენება ვერ ჩაითვლება ეფექტურად,თუკი საბოლოო შედეგი არ იქნება საკითხის/ცნების ღრმად გააზრება. დიდი მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრულ დახმარებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შეკითხვების დასმის,აღწერისა თუ მაგალითის/ნიმუშის შეთავაზების ფორმით.

განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ჩვენც შეიძლება მოვიფიქროთ.

მასწავლებლებისათვის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ნაწილი კარგადაა ცნობილი,ისეთი როგორიცაა-ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე,კითხვების დასმა,სწრაფი წერითი სამუშაო და სხვა,თუმცა მე ამ შეხვედრაზე ყურადღება გავამახვილე მასწავლებლებისათვის ნაკლებად ცნობილ ინსტრუმენტებზე(რაც შეხვედრაში მონაწილე პედაგოგების გამოკითხვით დადასტურდა)-„დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე", „ორმაგი ჩანაწერების დღიური", „ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება".

მასწავლებლებს განვუმარტე, რომ „ დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე"-ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია გაკვეთილის ნებისმიერ ეტაპზე,თანაც ის გვეხმარება იმაშიც, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული და სიღრმისეულად გაიაზროს სასწავლო მასალა. მოსწავლე ინდივიდუალურად ფიქრობს კონკრეტულ საკითხზე, შემდეგ მეწყვილესთან ერთად განიხილავს , ბოლოს კი კლასს გაუზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს.ეს სტრატეგია აძლევს შესაძლებლობას მოსწავლეებს ,ჩაუღრმავდნენ საკითხს , მოისმინონ და კრიტიკულად გაანალიზონ განსხვავებული მოსაზრებები.

„ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი დებულება" შეიძლება ემსახურებოდეს როგორც მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურებას, ასევე მასალის სიღრმისეულად გააზრებას. მასწავლებლებს სრულყოფილად განვუმარტე ინსტრუმენტის შინაარსი, ამობეჭდილი ვერსიებიც დავურიგე.

„ორმაგი ჩანაწერების დღიური"კი ერთგვარი რეფლექსიაა სასწავლო მასალაზე, რადგან მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, მოსაზრება კონკრეტული საკითხისადმი.მასწავლებელს კი შესაძლებლობა ეძლევა შეაფასოს, თუ რამდენად კარგად გაიაზრეს მოსწავლეებმა მასალა.

მასწავლებლებისათვის განმავითარებელი შეფასების ამ ინსტრუმენტების განხილვა-გაანალიზება მართლაც საინტერესო აღმოჩნდა.

III შეხვედრა- 25.02.2019

მიზანი-მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება შემდეგი მიმართულებით-გრაფიკული ორგანიზატორების გაცნობა-გაანალიზება;

შეხვედრის ძირითადი საკითხები:

-მთავარი კითხვა;

-პრობლემისა და მათი გადაჭრის გზების რუკა;

-სიტყვის რუკა;
-საკვანძო საკითხების რუკა;
-დადებითი-უარყოფითი-საინტერესო;

აქტუალობა-პედაგოგებისათვის გრაფიკული ორგანიზატორების საგაკვეთილო პროცესში გამოყენება ერთგვარი სიახლეა. მართალია, მათი ნაწილი ასეთი სქემების ნაწილს პრაქტიკაში იყენებს, მაგრამ მე ყურადღება გავამახვილე ისეთ სქემებზე, რომელზეც შეხვედრაში მონაწილე პედაგოგებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან გრაფიკული ორგანიზატორები მოსწავლეს უადვილებს საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის ორგანიზებას. ამავე დროს, იგი ხელს უწყობს მოსწავლის მაღალი სააზროვნო უნარების სტიმულირებას. ეს მიმართულება მასწავლებლებისთვისაც მოსახერხებელია,რადგან ერთი შეხედვით ნათელი ხდება, თუ რა და როგორ გაიაზრა მოსწავლემ.

მასწავლებლებს შესაბამისი გრაფიკული ორგანიზატორების ამობეჭდილი ვერსიები დავურიგე. იყო კითხვები და ,შესაბამისად, პასუხებიც. აქვე ,,საკვანძო საკითხების რუკის'' შევსებით ერთგვარი რეფლექსია განახორციელეს.

სამივე შეხვედრის შეჯამება- ვთვლი, რომ სამივე შეხვედრა იყო შედეგიანი, შესაბამისად,დასახული მიზნების მიღწევა განხორციელდა.

ჩატარებული შეხვედრების ძლიერი მხარე იყო ორმხრივი ეფექტური კომუნიკაცია ჩემსა და შეხვედრებში მონაწილე ყველა მასწავლებელს შორის. კითხვა-პასუხის რეჟიმი, პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, საკუთარი გამოცდილების გაზიარება,ელექტრონულ ფოსტაზე თემატური მასალის გაზიარება,ეფექტური დროული უკუკავშირი,ვფიქრობ, რომ ამ შეხვედრების ძლიერი მხარეა.

ასეთი საკვანძო საკითხების განხილვისათვის ,ვფიქრობ,რომ სამი შეხვედრა არასაკმარისია, თუმცა შეხვედრაში მონაწილე ყველა მასწავლებელს(და არა მხოლოდ მათ) საჭიროების შემთხვევაში გავუწევ სათანადო დახმარებას.

შეხვედრას მუდმივად ესწრებოდა ცხრა პედაგოგი, მაგრამ ნაწილმა უარი განაცხადა რეფლექსიების დაწერაზე, თუმცა შეხვედრების ეფექტურობას ადასტურებს შეხვედრებში მონაწილე დანარჩენი ხუთი მასწავლებლის რეფლექსია, რომელიც შესაბამისად ატვირთეს eschool-ის ბაზაში(ნელი გაბიდაური, ირინე იაკობაშვილი, თამარ მეცხვარიშვილი,მარეხი კუტალაძე, მზია დეკანოიძე),სწორედ ამიტომ დასწრების ფურცელში მინიშნებული მაქვს მხოლოდ იმ პედაგოგების მონაცემები, რომლებმაც დაწერეს და ატვირთეს რეფლექსიები.

დანართის სახით წარმოდგენილი დასწრების ფურცელი შეხვედრების ჩატარების თარიღის, დროისა და მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.